

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №471

2016 წლის 11 ოქტომბერი

ქ. თბილისი

ჰაერსანაოსნო მონაცემების და ჰაერსანაოსნო ინფორმაციის მიმწოდებლების, მათი უფლება-მოვალეობების და ჰაერსანაოსნო მონაცემების და ჰაერსანაოსნო ინფორმაციის მიწოდების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს საჰაერო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილისა და მე-19 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად:

მუხლი 1

დამტკიცდეს თანდართული ჰაერსანაოსნო მონაცემების და ჰაერსანაოსნო ინფორმაციის მიმწოდებლების, მათი უფლება-მოვალეობების და ჰაერსანაოსნო მონაცემების და ჰაერსანაოსნო ინფორმაციის მიწოდების წესი.

მუხლი 2

1. ამ დადგენილებით დამტკიცებული „ჰაერსანაოსნო მონაცემების და ჰაერსანაოსნო ინფორმაციის მიმწოდებლების, მათი უფლება-მოვალეობების და ჰაერსანაოსნო მონაცემების და ჰაერსანაოსნო ინფორმაციის მიწოდების წესის“ მე-4 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულმა უწყებებმა/პირებმა უზრუნველყონ შპს „საქაერონავიგაციისათვის“ ამავე დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ჰაერსანაოსნო მონაცემების და ჰაერსანაოსნო ინფორმაციის მიმწოდებელთა შესახებ საკონტაქტო ინფორმაციის წარდგენა 2016 წლის 1 ნოემბრამდე.

2. შპს „საქაერონავიგაციამ“, 2017 წლის 31 დეკემბრამდე, უზრუნველყოს ამ დადგენილებით დამტკიცებული „ჰაერსანაოსნო მონაცემების და ჰაერსანაოსნო ინფორმაციის მიმწოდებლების, მათი უფლება-მოვალეობების და ჰაერსანაოსნო მონაცემების და ჰაერსანაოსნო ინფორმაციის მიწოდების წესით“ განსაზღვრულ ჰაერსანაოსნო მონაცემების მიმწოდებლებთან ჰაერსანაოსნო ინფორმაციის და ჰაერსანაოსნო მონაცემების მიწოდების შესახებ შეთანხმების გაფორმება.

3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების და საქართველოს იუსტიციის სამინისტროებმა, სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ, შპს „საქაერონავიგაციამ“ და საქართველოს სამოქალაქო აეროდრომების ექსპლუატანტებმა უზრუნველყონ, 2017 წლის 1 მაისამდე, ევროპული ერთიანი ცის გეგმის (ESSIP) გათვალისწინებით, რელიეფის და დაბრკოლებების ელექტრონული მონაცემების დანერგვის გეგმის შემუშავება, რომელსაც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

4. ამ დადგენილებით დამტკიცებული „ჰაერსანაოსნო მონაცემების და ჰაერსანაოსნო ინფორმაციის მიმწოდებლების, მათი უფლება-მოვალეობების და ჰაერსანაოსნო მონაცემების და ჰაერსანაოსნო ინფორმაციის მიწოდების წესის“ მე-4 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულმა უწყებებმა/პირებმა ამ წესით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების მიზნით, უზრუნველყონ შესაბამისი სამართლებრივი აქტების მიღება ამ დადგენილების ამოქმედებიდან 4 თვის ვადაში.

5. ამ დადგენილებით დამტკიცებული „ჰაერსანაოსნო მონაცემების და ჰაერსანაოსნო ინფორმაციის მიმწოდებლების, მათი უფლება-მოვალეობების და ჰაერსანაოსნო მონაცემების და ჰაერსანაოსნო ინფორმაციის მიწოდების წესის“ მე-4 მუხლის მე-11 პუნქტის მოთხოვნების შესრულება, 2018 წლის 1 დეკემბრამდე, ეთხოვოს შპს „საქაერონავიგაციას“.

მუხლი 3

1. დადგენილება, გარდა ამ დადგენილებით დამტკიცებული „ჰაერსანაოსნო მონაცემების და ჰაერსანაოსნო ინფორმაციის მიმწოდებლების, მათი უფლება-მოვალეობების და ჰაერსანაოსნო მონაცემების და ჰაერსანაოსნო ინფორმაციის მიწოდების წესის“ მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის, მე-6 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების და ამავე მუხლის მე-11 პუნქტისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.



2. ამ დადგენილებით დამტკიცებული „ჰაერსანაოსნო მონაცემების და ჰაერსანაოსნო ინფორმაციის მიმწოდებლების, მათი უფლება-მოვალეობების და ჰაერსანაოსნო მონაცემების და ჰაერსანაოსნო ინფორმაციის მიწოდების წესის“ მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი ამოქმედდეს 2017 წლის 1 სექტემბრიდან.

3. ამ დადგენილებით დამტკიცებული „ჰაერსანაოსნო მონაცემების და ჰაერსანაოსნო ინფორმაციის მიმწოდებლების, მათი უფლება-მოვალეობების და ჰაერსანაოსნო მონაცემების და ჰაერსანაოსნო ინფორმაციის მიწოდების წესის“ მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები და ამავე მუხლის მე-11 პუნქტი ამოქმედდეს 2018 წლის 1 დეკემბრიდან.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვიციანი

ჰაერსანაოსნო მონაცემების და ჰაერსანაოსნო ინფორმაციის მიმწოდებლების, მათი უფლება-მოვალეობების და ჰაერსანაოსნო მონაცემების და ჰაერსანაოსნო ინფორმაციის მიწოდების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საქართველოს ჰაერსანაოსნო მონაცემების და ჰაერსანაოსნო ინფორმაციის მიმწოდებლების, მათი უფლება-მოვალეობების და ჰაერსანაოსნო მონაცემების და ჰაერსანაოსნო ინფორმაციის მიწოდების წესი (შემდგომში – „წესი“) მიზნად ისახავს:

ა) სამოქალაქო ავიაციაში ფრენების უსაფრთხოების გაუმჯობესებას;

ბ) ჰაერსანაოსნო მონაცემების და ჰაერსანაოსნო ინფორმაციის სისრულის, დროულობისა და ხარისხის უზრუნველყოფას ჰაერსანაოსნო მონაცემების და ჰაერსანაოსნო ინფორმაციის შექმნის, გადაცემის, დამუშავებისა და გავრცელების გზით.

2. წინამდებარე წესი ვრცელდება სახელმწიფო ორგანოებზე და ორგანიზაციებზე, სააერონაოსნო მომსახურების საწარმოზე (შპს „საქაერონავიგაცია“), სამოქალაქო დანიშნულების აეროდრომების და ვერტოდრომების ექსპლუატანტებზე და ყველა იმ იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე, რომლებიც ჰაერსანაოსნო ინფორმაციის და ჰაერსანაოსნო მონაცემების შექმნის, გადაცემის, დამუშავების და გავრცელების პროცესში ნებისმიერი სახით ჩართულნი არიან:

ა) სამოქალაქო ავიაციასთან დაკავშირებულ გეოდეზიურ საქმიანობაში (გეოდეზიური მომსახურება და მონაცემების მიღება და გადაცემა);

ბ) ფრენის სახელსაწყო პროცედურების შემუშავებაში;

გ) რელიეფის ელექტრონული მონაცემების შექმნაში;

დ) დაბრკოლებების ელექტრონული მონაცემების შექმნაში.

მუხლი 2. ტერმინები და შემოკლებები

1. ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს და შემოკლებებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობები:

ა) **გარჩევადობა** – ერთეულების ან ციფრების რაოდენობა, რომელიც გამოხატავს გამოყენების გაზომილ ან გამოთვლილ მნიშვნელობას;

ბ) **გეოიდი** – ეკვიპოტენციალური ზედაპირი დედამიწის გრავიტაციულ ველში, რომელიც ემთხვევა წყნარი ზღვის საშუალო დონეს (MSL) და მის გაგრძელებას კონტინენტზე;

გ) **გრიგორიანული კალენდარი** – საყოველთაოდ მიღებული კალენდარი, რომელიც შემოღებულია 1582 წელს წლის განსაზღვრისათვის და უფრო ზუსტია ტროპიკულ წელთან იულიანურ კალენდართან შედარებით (ISO 19108***);

დ) **დაბრკოლება** – ყველა უძრავი (დროებითი ან მუდმივი) და მოძრავი ობიექტი ან მათი ნაწილები, რომლებიც:



დ.ა) განლაგებულია საჰაერო ხომალდების მიწისზედა მოძრაობისთვის განკუთვნილ არეში,

დ.ბ) კვეთენ საჰაერო ხომალდების ფრენების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად განკუთვნილ დადგენილ ზედაპირს; ან

დ.გ) მდებარეობენ ამ განსაზღვრული ზედაპირების მიღმა და შეფასებიდან გამომდინარე წარმოადგენენ საფრთხეს ჰაერსაფრთხოებისათვის;

ე) **ვალიდაცია** – ობიექტური მტკიცებულებების წარდგენის საშუალებით დადასტურება იმისა, რომ კონკრეტული სავარაუდო მოხმარებისათვის ან გამოყენებისათვის განკუთვნილი მოთხოვნები (ISO 9000*) შესრულებულია;

ვ) **ვერიფიკაცია** – ობიექტური მტკიცებულებების წარდგენის საშუალებით დადასტურება იმისა, რომ დადგენილი მოთხოვნები (ISO 9000*) შესრულებული იქნა;

შენიშვნა 1. ტერმინი „ვერიფიცირებულია“ გამოიყენება შესაბამისი სტატუსის აღსანიშნავად.

შენიშვნა 2. დადასტურების საქმიანობა შეიძლება მოიცავდეს ისეთ საქმიანობას, როგორცაა:

- ალტერნატიული გათვლების შესრულება;
- ახალი პროექტის სამეცნიერო-ტექნიკური დოკუმენტაციის შედარება აპრობირებული პროექტის ანალოგიურ დოკუმენტაციასთან;
- გამოცდების ჩატარება და დემონსტრირება, და
- დოკუმენტების ანალიზი მათ გამოშვებამდე.

ზ) **მანძილი ბიჯებს შორის** – კუთხითი ან წრფივი მანძილი ორ მოსაზღვრე შემაღლებულ წერტილს შორის;

თ) **მეტამონაცემები** – მონაცემები მონაცემთა შესახებ (ISO 19115);

ი) **მონაცემთა ერთეული** – ნიშნავს მონაცემების სრული კომპლექტის ცალკეულ ატრიბუტს, რომელსაც მინიჭებული აქვს მისი მიმდინარე სტატუსის განსაზღვრელი მნიშვნელობა;

კ) **მონაცემთა ხარისხი** – დონე ან იმის დადასტურება, რომ მოცემული მონაცემები აკმაყოფილებენ მონაცემთა მომხმარებლის მოთხოვნებს სიზუსტის, გამოქვეყნების გარჩევადობის, მთლიანობის, დროულობის, სისრულის, თვალის დევნების შესაძლებლობის (traceability) და ფორმატის თვალსაზრისით;

ლ) **რელიეფი** – დედამიწის ზედაპირი ისეთი ბუნებრივი ელემენტებით, როგორცაა მთები, ბორცვები, ქედები, ხეობები, წყლის საცავები, მყინვარები და თოვლი, გარდა დაბრკოლებებისა;

მ) **სააერონავიგაციო ინფორმაციის სამსახური (შემდგომში – სამსახური)** – სააერონავიგაციო მომსახურების საწარმოს (შპს „საქაერონავიგაციის“) სტრუქტურული ერთეული, რომელიც შექმნილია განსაზღვრული პასუხისმგებლობის არეში ჰაერსაფრთხოების მონაცემებით და ჰაერსაფრთხოების ინფორმაციით უზრუნველსაყოფად ჰაერსაფრთხოების უსაფრთხოების, ეფექტიანობისა და რეგულარობის მიზნით;

ნ) **საერთაშორისო NOTAM ოფისი** – სახელმწიფოს მიერ დანიშნული ოფისი NOTAM-ების საერთაშორისო გაცვლისათვის;

ო) **სანდოობის დონე** – ალბათობა იმისა, რომ პარამეტრის ჭეშმარიტი მნიშვნელობა მისი შეფასებითი მნიშვნელობის გარკვეული ინტერვალის ფარგლებშია;

პ) **სიზუსტე** – სავარაუდო ან გაზომილი მნიშვნელობებისა და ჭეშმარიტ მნიშვნელობას შორის შესაბამისობის ხარისხი;



ჟ) **შემადლების ციფრული მოდელი (DEM)** – რელიეფის ზედაპირის წარმოდგენა შემადლების უწყვეტი მნიშვნელობების მეშვეობით, განსაზღვრული ბადის ყველა კვეტის ადგილზე საერთო ბაზის სიდიდეების (მონაცემების) მითითებით;

რ) **ციკლური ზედმეტობის შემოწმება (CRC) კოდის გამოყენებით** – მათემატიკური ალგორითმი, რომელიც გამოიყენება მონაცემთა ციფრული გამოსახულებისათვის მონაცემთა დაკარგვის ან ცვლილებების დაცვის განსაზღვრული დონის უზრუნველსაყოფად;

ს) **ხარისხი** – დონე, რომლითაც საკუთარი მახასიათებლების ერთობლიობა ასრულებს/აკმაყოფილებს მოთხოვნებს (ISO 9000*);

ტ) **ხარისხის მართვა** – კოორდინირებული ქმედებები ორგანიზაციის ხელმძღვანელობისა და მმართველობისათვის ხარისხთან მიმართებაში (ISO 9000);

უ) **ჰაერსანაოსნო მონაცემები** – დადგენილი ფორმით გადმოცემული ჰაერსანაოსნო ფაქტები, კონცეფციები და ინსტრუქციები მათი გადაცემის (კომუნიკაცია), ინტერპრეტაციის ან დამუშავების მიზნით;

ფ) **ჰაერსანაოსნო მონაცემების მთლიანობა** – უზრუნველყოფის დონე (გარკვეული გარანტია) იმისა, რომ ჰაერსანაოსნო მონაცემები და მათი მნიშვნელობები არ დაკარგულა ან არ შეცვლილა მას შემდეგ, რაც აღნიშნული მონაცემები მომზადდა ან სანქცირებულად შეიცვალა;

ქ) **ჰაერსანაოსნო მონაცემების მთლიანობის კლასიფიკაცია** – მცდარი მონაცემების გამოყენების პოტენციურ რისკზე დაფუძნებული კლასიფიკაცია:

ქ.ა) რუტინული მონაცემები: არსებობს ძალიან მცირე ალბათობა იმისა, რომ რუტინული მონაცემების გამოყენებისას საჰაერო ხომალდის უსაფრთხო ფრენა და დაფრენა გამოიწვევს მნიშვნელოვან რისკს ან კატასტროფას;

ქ.ბ) მნიშვნელოვანი მონაცემები: არსებობს მცირე ალბათობა იმისა, რომ მნიშვნელოვანი მონაცემების გამოყენებისას საჰაერო ხომალდის უსაფრთხო ფრენა და დაფრენა გამოიწვევს მნიშვნელოვან რისკს ან კატასტროფას;

ქ.გ) კრიტიკული მონაცემები: არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ კრიტიკული მონაცემების გამოყენებისას საჰაერო ხომალდის უსაფრთხო ფრენა გამოიწვევს მნიშვნელოვან რისკს ან კატასტროფას;

ღ) **AIRAC** – ჰაერსანაოსნო ინფორმაციის რეგულირებისა და კონტროლის სისტემა, რომელიც ეფუძნება ამოქმედების (მოქმედებაში შესვლის) საყოველთაო ვადებს და მიზნად ისახავს წინასწარ შეტყობინებას იმ გარემოებების თაობაზე, რომლებიც აუცილებელს ხდის საექსპლუატაციო პრაქტიკის მნიშვნელოვან ცვლილებებს;

ყ) **NOTAM** – ტელეკომუნიკაციის საშუალებით გავრცელებული შეტყობინება მომსახურების, წესების, საფრთხის, ასევე სანავიგაციო საშუალებების მდგომარეობის, ცვლილებებისა და მწყობრში შეყვანის შესახებ, რომლის დროული ცოდნა მნიშვნელოვანია ფრენების განხორციელებასთან დაკავშირებული პერსონალისათვის.

2. წესში გამოყენებულ შემოკლებებს აქვს შემდეგი მნიშვნელობები:

ა) **ARP** – აეროდრომის საკონტროლო წერტილი;

ბ) **CTA** – სამეთვალყურეო რაიონი;

გ) **CTR** – სამეთვალყურეო კონტროლის არე;

დ) **EAD** – ევროპული სააერონაოსნო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა;

ე) **EGM** – დედამიწის გრავიტაციული მოდელი;



ვ) **FATO** – შვეულმფრენის აფრენისა და დასაფრენად შესვლის ბოლო ეტაპის არე;

ზ) **ILS** – სახელსაწყო დაფრენის სისტემა;

თ) **NDB** - მიუმართავი რადიოშუქურა;

ი) **OCA/H** – დაბრკოლებების გადაფრენის აბსოლუტური/ფარდობითი სიმაღლე;

კ) **SID** – სტანდარტული სახელსაწყო გაფრენა;

ლ) **STAR** – სტანდარტული სახელსაწყო მოფრენა;

მ) **TLOF** – შვეულმფრენის დაფრენისა და მოწყვეტის არე;

ნ) **TMA** – საკვანძო სამეთვალყურეო რაიონი;

ო) **VHF** – მეტად მაღალი სიხშირე;

პ) **WGS** – მსოფლიო გეოდეზიური სისტემა.

მუხლი 3. ჰაერნაოსნობის საერთო ათვლის სისტემა

1. ჰაერნაოსნობისთვის ჰორიზონტალურ (გეოდეზიური) ათვლის სისტემად გამოიყენება მსოფლიო გეოდეზიური სისტემა — WGS 1984 (მგს-84) და გამოქვეყნებული ჰაერსაანაოსნო გეოგრაფიული კოორდინატები (გრძედების და განედების მითითებით), რომლებიც გამოხატული უნდა იყოს მგს-84 გეოდეზიური ათვლის მონაცემების შესაბამისად.

2. გეოგრაფიული კოორდინატების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების გარჩევადობა განსაზღვრულია წინამდებარე წესის მე-2 დანართის პირველი ცხრილით. გეოგრაფიული კოორდინატების შესახებ რუკებზე ინფორმაციის გამოქვეყნების გარჩევადობა განსაზღვრულია „საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ“ ჩიკაგოს 1944 წლის კონვენციის (შემდგომში „კონვენციის“) მე-4 დანართის (საავიაციო რუკები) დამატება 6-ის 1 ცხრილში.

3. ჰაერნაოსნობისთვის ვერტიკალურ სიბრტყეში ათვლის სისტემად გამოიყენება ზღვის საშუალო დონე, რომელიც აკავშირებს ზედაპირს (გეოიდი) და გრავიტაციაზე დამოკიდებულ ფარდობით სიმაღლეებს (შემადლებას).

4. ჰაერნაოსნობისთვის გამოიყენება გლობალური გრავიტაციის მოდელი (დედამიწის გრავიტაციული მოდელი) – 1996 (დგმ -96), რომელიც მოიცავს გრძელი გრავიტაციული ტალღის შესახებ მონაცემებს თითო გრადუსის ათვლით 360 გრადუსამდე.

5. იმ გეოგრაფიულ პოზიციაში, სადაც დგმ -96-ის სიზუსტე არ ემთხვევა კონვენციის მე-14 დანართის პირველი და მეორე ტომის მეორე თავში მოცემულ შემადლებების და გეოიდის ტალღის სიზუსტის მოთხოვნებს, დგმ-96-ის მონაცემთა საფუძველზე გამოიყენება რეგიონალური ან ადგილობრივი გეოიდის მოდელები, რომლებიც შეიცავენ მაღალი რეზოლუციის (მოკლე ტალღის სიგრძის) გრავიტაციულ მონაცემებს.

6. გარდა ზღვის საშუალო დონის შემადლებების (გეოიდი) გადაღების პოზიციებისა, ამ პოზიციებისთვის ასევე გამოქვეყნებული უნდა იყოს ინფორმაცია გეოიდის ტალღის (ელიპსოიდის ზედაპირის მგს-84 მიმართ) შესახებ.

7. შემადლებების და გეოიდის ტალღის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების გარჩევადობა განსაზღვრულია წინამდებარე წესის მე-2 დანართის მე-2 ცხრილით. შემადლებების და გეოიდის ტალღის შესახებ რუკებზე ინფორმაციის გამოქვეყნების გარჩევადობა განსაზღვრულია კონვენციის მე-4 დანართის (საავიაციო რუკები) დამატება 6-ის მე-2 ცხრილში.

8. ჰაერნაოსნობისთვის გამოიყენება გრიგორიანული კალენდარი და კოორდინირებული



უნივერსალური დრო (UTC).

მუხლი 4. ჰაერსანაოსნო ინფორმაციის და ჰაერსანაოსნო მონაცემების მიმწოდებლები და მათი უფლება-მოვალეობები

1. ჰაერსანაოსნო ინფორმაციის და ჰაერსანაოსნო მონაცემების მიმწოდებლები არიან:

ა) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;

ბ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური (შემდგომში – შემოსავლების სამსახური);

გ) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო;

დ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

ე) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (შემდგომში – ეროვნული სააგენტო);

ვ) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

ზ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სამოქალაქო ავიაციის სააგენტო (შემდგომში – სააგენტო);

თ) სააერონაოსნო მომსახურების საწარმო (შპს „საქაერონავიგაცია“);

ი) საქართველოს სამოქალაქო აეროდრომების/ვერტოდრომების ექსპლუატანტები;

კ) საჯარო სამართლის იურიდიული პირი „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი“ (შემდგომში – სახელმწიფო უნივერსიტეტი).

2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო სამსახურს აწვდის საკონტაქტო ინფორმაციას სამოქალაქო ავიაციისა და საზღვაო ტრანსპორტის სფეროებში მომხდარი სატრანსპორტო შემთხვევებისა და ინციდენტების მოკვლევის ბიუროს შესახებ და ინფორმაციას სამოქალაქო ავიაციის სფეროში მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულებების/კონვენციების შესახებ.

3. შემოსავლების სამსახური სამსახურს აწვდის ინფორმაციას:

ა) საქართველოს სახელმწიფო ვეტერინარულ სასაზღვრო-საკარანტინო, სახელმწიფო ფიტოსანიტარიულ სასაზღვრო-საკარანტინო მარეგულირებელი საკანონმდებლო მოთხოვნების შესახებ;

ბ) ტვირთის და სხვა საგნების საქართველოში შემოსვლის, ტრანზიტის ან გამგზავრების დროს საბაჟო წესების და მარეგულირებელი საკანონმდებლო მოთხოვნების შესახებ;

4. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო სამსახურს აწვდის ინფორმაციას დაცულ ტერიტორიებზე გავრცელებული საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი ხერხემლიანი ცხოველების შესახებ.

5. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო სამსახურთან ამ წესის პირველი დანართით განსაზღვრული ჰაერსანაოსნო ინფორმაციისა და ჰაერსანაოსნო მონაცემების მიწოდების შესახებ შეთანხმების წერილობით გაფორმების შემდეგ ამავე სამსახურს აწვდის:

ა) ინფორმაციას მგზავრების და სხ-ის ეკიპაჟის საქართველოში შემოსვლის, ტრანზიტის ან გამგზავრების დროს საემიგრაციო წესების და მოთხოვნების შესახებ;

ბ) მონაცემებს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ.



6. ეროვნული სააგენტო სამსახურს აწვდის:

- ა) ტოპოგრაფიულ მონაცემებს ეროვნულ სააგენტოში დაცული მონაცემების საფუძველზე;
- ბ) მონაცემებს დაბრკოლებების შესახებ, რომელთა სიმაღლე მიწის ზედაპირიდან 100 მეტრი ან მეტია;
- გ) მონაცემებს პირველ არეში (საქართველოს ტერიტორია) რელიეფის შესახებ.

7. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო სამსახურს აწვდის ინფორმაციას საერთაშორისო ფრენების, მგზავრების და ეკიპაჟის საქართველოში შემოსვლის, ტრანზიტის ან გამგზავრების დროს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებისა და პრევენციული ღონისძიებების შესახებ;

8. სააგენტო სამსახურს აწვდის:

- ა) საკონტაქტო ინფორმაციას სააგენტოს და სამოქალაქო ავიაციის სფეროში მოქმედი წესებისა და მოთხოვნების შესახებ;
- ბ) ინფორმაციას კონვენციის დანართებში არსებული სტანდარტების, რეკომენდირებული პრაქტიკის და პროცედურების და ეროვნული ნორმატიული აქტებს შორის განსხვავებების შესახებ;
- გ) სამოქალაქო ავიაციის წინააღმდეგ მიმართული მართლსაწინააღმდეგო ქმედების და საავიაციო მოვლენების შეტყობინების სისტემის შესახებ;
- დ) ინფორმაციას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უქმე დღეების შესახებ;
- ე) ინფორმაციას საქართველოში სამოქალაქო საჰაერო ხომალდების რეგისტრირების და ეროვნული ნიშნების შესახებ;
- ვ) ინფორმაციას აეროდრომების დასახელების, ადგილმდებარეობის აღმნიშვნელი კოდებისა და სერტიფიკატის სტატუსის შესახებ;
- ზ) ინფორმაციას სხვა სახელმწიფოში რეგისტრირებული საჰაერო ხომალდების საქართველოში ფრენის შესრულების პირობების შესახებ;
- თ) ინფორმაციას საქართველოს საჰაერო სივრცის სტრუქტურის შესახებ.

9. შპს „საქაერონავიგაციის“ სტრუქტურული ერთეულები (საჰაერო მოძრაობის მომსახურება, კავშირგაბმულობა, სანავიგაციო და სარადიოლოკაციო მომსახურება, მეტეოროლოგიური და საძებნ-სამაშველო მომსახურება) სამსახურს აწვდიან:

- ა) ინფორმაციას და მონაცემებს სააერონავიგაციო მომსახურების, ტექნიკური საშუალებების, ამ მომსახურებასთან და საშუალებებთან დაკავშირებული შეზღუდვების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და საწარმოს მიერ გაწეული მომსახურების საფასურის შესახებ;
- ბ) ინფორმაციას ფრენების, ფრენისწინა და ფრენისშემდგომი მომსახურების შესახებ;
- გ) ინფორმაციას საჰაერო მოძრაობის ორგანიზებასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ.

10. სამოქალაქო აეროდრომების/ვერტოდრომების ექსპლუატანტი სამსახურს აწვდის ინფორმაციას სამოქალაქო აეროდრომების/ვერტოდრომების შესახებ, მათ შორის აეროდრომ/ვერტოდრომებზე გაწეული მომსახურების, ამ მომსახურებასთან დაკავშირებული შეზღუდვების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და მომსახურების საფასურის შესახებ.

11. სახელსაწყო ფრენის პროცედურების მქონე სამოქალაქო აეროდრომების/ვერტოდრომების ექსპლუატანტი სამსახურს აწვდის მონაცემებს არე-2 და არე - 3 რელიეფის და დაბრკოლებების შესახებ.



შენიშვნა: მოთხოვნები ელექტრონული რელიეფის და დაბრკოლების მონაცემების სიზუსტის და არეების შესახებ მოცემულია ამ წესის მე-3 დანართში.

12. სახელმწიფო უნივერსიტეტი აწვდის სამსახურს ინფორმაციას ფრინველების მიგრაციის შესახებ.

13. სამსახურს ამ წესის პირველი მუხლის გათვალისწინებით შეუძლია ჰაერსანაოსნო მონაცემების მიმწოდებლებისგან მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია ან/და მონაცემები.

მუხლი 5. ჰაერსანაოსნო მონაცემების და ჰაერსანაოსნო ინფორმაციის გაცვლის ვალდებულება

1. სამსახური იღებს სხვა სახელმწიფოების მიერ შექმნილ ჰაერსანაოსნო ინფორმაციის გაერთიანებულ პაკეტის ნებისმიერ ელემენტს და მოთხოვნის საფუძველზე უზრუნველყოფს აღნიშნული ჰაერსანაოსნო მონაცემების და ჰაერსანაოსნო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

2. სამსახური და ჰაერსანაოსნო ინფორმაციის მიმწოდებლები ცვლიან ჰაერსანაოსნო მონაცემებს ელექტრონული ფორმით.

შენიშვნა: ინფორმაციის გაცვლასთან დაკავშირებული დამატებითი მოთხოვნები მოყვანილია ევროკონტროლის ჰაერსანაოსნო ინფორმაციის გაცვლის სპეციფიკაციაში (EUROCONTROL Specifications for Aeronautical Information Exchange).

3. სამსახური იკავებს ხელშემკვრელ სახელმწიფოს, მოთხოვნის შემთხვევაში, გადასცემს ჰაერსანაოსნო ინფორმაციის გაერთიანებული პაკეტის ყოველი ელემენტის თითო ასლს უსასყიდლოდ.

4. სამსახური საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და სააგენტოს გადასცემს ჰაერსანაოსნო ინფორმაციის გაერთიანებული პაკეტის ყოველი ელემენტის თითო ასლს უსასყიდლოდ.

5. სააერნაოსნო მომსახურების საწარმოსა და ევროკონტროლს შორის დადებული შეთანხმების ფარგლებში, სამსახური საქართველოს სახელით უზრუნველყოფს ჰაერსანაოსნო ინფორმაციის ატვირთვას ევროპული სააერნაოსნო ინფორმაციის მონაცემთა ბაზაში (EAD). სააერნაოსნო მომსახურების საწარმოსა და ევროკონტროლს შორის დადებული შეთანხმება თანხმდება სააგენტოსთან.

6. სამსახურის მიერ ჰაერსანაოსნო ინფორმაციის და ჰაერსანაოსნო მონაცემების საფუძველზე შექმნილი ჰაერსანაოსნო ინფორმაციის კრებული ან/და ნებისმიერი სხვა პროდუქტი წარმოადგენს საავტორო უფლების ობიექტს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. ამასთან, აღნიშნული ინფორმაციის და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი პროდუქტის მესამე მხარისთვის მიწოდების შემთხვევაში, მესამე მხარე უნდა გაფრთხილდეს აღნიშნული საავტორო უფლების შესახებ.

7. სამსახური უზრუნველყოფს საერთაშორისო გავრცელებისთვის განკუთვნილი ჰაერსანაოსნო ინფორმაციის გაერთიანებული პაკეტის ღია ტექსტით შექმნილი თითოეული ელემენტის გავრცელებას ინგლისურ ენაზე.

მუხლი 6. ჰაერსანაოსნო ინფორმაციის და ჰაერსანაოსნო მონაცემების მიმწოდებლების პასუხისმგებლობა

1. ჰაერსანაოსნო ინფორმაციის და ჰაერსანაოსნო მონაცემების მიმწოდებლები პასუხისმგებელნი არიან:

ა) მიწოდებული მონაცემების ხარისხზე;

ბ) მონაცემთა ერთეულთან ასოცირებული ახალი ერთეულის შექმნაზე;

გ) ჰაერსანაოსნო ინფორმაციის გაერთიანებულ პაკეტში არსებული მონაცემთა ერთეულის მნიშვნელობის ცვლილებაზე.

2. სამსახურში გადაცემამდე ჰაერსანაოსნო ინფორმაციის გაერთიანებული პაკეტისთვის განკუთვნილი მასალა ექვემდებარება მონაცემების მიმწოდებლების მიერ სრულყოფილ შემოწმებას ყველა საჭირო დეტალის ასახვისა და სისწორის უზრუნველყოფის მიზნით.



3. ამ წესის მე-4 მუხლით განსაზღვრულმა მონაცემების მიმწოდებლებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ჰაერსანაოსნო მონაცემების შექმნასა და გადაცემაზე პასუხისმგებელი პერსონალი:

- ა) სათანადოდ იცნობდეს ამ წესის და სააერნაოსნო მომსახურებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს;
- ბ) კომპეტენციის გათვალისწინებით იყენებდეს ჰაერსანაოსნო ინფორმაციის კრებულის (მის ცვლილებებს და დროებით ცვლილებებს) განახლების სისტემას (AIRAC);
- გ) უზრუნველყოფილია ამ წესით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულებისთვის საჭირო სამუშაო სახელმძღვანელოებით და ინსტრუქციებით;
- დ) პასუხისმგებელია მიწოდებულ მონაცემთა ხარისხზე.

4. ჰაერსანაოსნო მონაცემების და ჰაერსანაოსნო ინფორმაციის სრულად და დროულად წარდგენის მიზნით ინფორმაციის მიმწოდებლებსა და სააერნაოსნო მომსახურების საწარმოს შორის იდება ამ წესის პირველი დანართით განსაზღვრული ჰაერსანაოსნო ინფორმაციის და ჰაერსანაოსნო მონაცემების მიწოდების შესახებ შეთანხმება.

5. ჰაერსანაოსნო ინფორმაცია, მათ შორის ხელახლა გამოცემული ინფორმაცია, ძალაში შედის AIRAC-ის შესაბამისად და ნებისმიერი მნიშვნელოვანი ცვლილების ამოქმედების თარიღი განისაზღვრება 28-დღიანი ინტერვალით.

6. სამსახური უზრუნველყოფს, რომ AIRAC-ის დაცვით წარდგენილი ინფორმაცია არ იცვლება ძალაში შესვლიდან მომდევნო 28 დღის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წარდგენილი ინფორმაცია ატარებს დროებით ხასიათს და არ წარმოადგენს განუსაზღვრელი ვადით გამოსაქვეყნებელ ინფორმაციას.

7. სამსახური უზრუნველყოფს ჰაერსანაოსნო ინფორმაციის მიმწოდებლების დროულ და სისტემატურ ინფორმირებას AIRAC-ის შესახებ.

მუხლი 7. ჰაერსანაოსნო ინფორმაციით და ჰაერსანაოსნო მონაცემებით უზრუნველყოფის წესი

1. ჰაერსანაოსნო მონაცემების და ჰაერსანაოსნო ინფორმაციის შექმნა, გადაცემა, დამუშავება და გავრცელება ხორციელდება ამ წესის შესაბამისად.

2. ჰაერსანაოსნო მონაცემთა სიზუსტეს უნდა გააჩნდეს 95-პროცენტის სიზუსტის მაჩვენებელი. ამისათვის დგინდება მონაცემთა პოზიციის სამი სახეობა:

- ა) გადაღების წერტილები (ადზ-ს ზღურბლები, სანავიგაციო საშუალებების პოზიციები, და ა.შ.)
- ბ) გამოთვლილი წერტილები (ცნობილი გადაღების წერტილების საფუძველზე მათემატიკური გათვლით სივრცეში მიღებული წერტილები/საკონტროლო წერტილები) და
- გ) დადგენილი წერტილები (მაგ., საფრენოსნო ინფორმაციის რაიონის საზღვრის წერტილები).

3. ჰაერსანაოსნო მონაცემთა მთლიანობა შენარჩუნებულია ჰაერსანაოსნო მონაცემის შექმნიდან ამ მონაცემების შემდეგი მომხმარებლისთვის მიწოდებამდე.

4. მთლიანობის კლასიფიცირებიდან გამომდინარე, როგორც ჰაერსანაოსნო ინფორმაციის მიმწოდებელი, ასევე სააერნაოსნო მომსახურების საწარმო ქმნიან ვალიდაციის და ვერიფიკაციის პროცედურებს:

- ა) რუტინული მონაცემებისთვის: მონაცემთა დამუშავების დროს ინფორმაციის დამახინჯების თავიდან აცილების მიზნით;
- ბ) მნიშვნელოვანი მონაცემებისთვის: უზრუნველყოფს ინფორმაციის დამახინჯების თავიდან



აცილებას მთლიანი პროცესის ნებისმიერ საფეხურზე და საჭიროებისამებრ შეიძლება შეიცავდეს დამატებით პროცესებს მონაცემთა მთლიანობის ნებისმიერ დონეზე პოტენციური საფრთხის გამოვლენის მიზნით.

გ) კრიტიკული მონაცემებისთვის: უზრუნველყოფს ინფორმაციის დამახინჯების თავიდან აცილებას მთლიანი პროცესის ნებისმიერ საფეხურზე და შეიცავს მთლიანობის შეფასების დამატებით პროცესებს ანალიზის შედეგად გამოვლენილი დეფექტების შემცირების მიზნით.

შენიშვნა: ჰაერსანაოსნო ინფორმაციის დამუშავების სახელმძღვანელო მასალა მოცემულია RTCA (Radio Technical Commission for Aeronautics) დოკუმენტში „DO-200A“ და სამოქალაქო ავიაციის აღჭურვილობის ევროპული ორგანიზაციის (EUROCAE) დოკუმენტში „ED-76“ — ჰაერსანაოსნო მონაცემთა დამუშავების სტანდარტები.

5. ინფორმაციის მიმწოდებლები აგროვებენ მეტამონაცემებს ჰაერსანაოსნო მონაცემთა დამუშავებისა და გაცვლის მთლიანი პროცესის (ჰაერსანაოსნო მონაცემის შექმნიდან შემდეგი მომხმარებელისთვის მიწოდებამდე) ფარგლებში.

6. მეტამონაცემები შეიცავს, სულ მცირე:

ა) იურიდიული ან ფიზიკური პირის სახელწოდებას, რომელიც ჩართულია მონაცემთა შექმნის, გადაცემის ან დამუშავების პროცესში;

ბ) შესრულებულ ქმედებას;

გ) ქმედების შესრულების დროსა და თარიღს.

7. ჰაერსანაოსნო მონაცემების და ჰაერსანაოსნო მონაცემთა ერთეულის გადაცემის ან/და შენახვის დროს გამოიყენება მონაცემთა შეცდომის გამოვლენის, დაცვის და ავტორიზაციის მეთოდი.

8. მონაცემთა ბაზაში არსებული მონაცემთა ერთეულის გავრცელების სიზუსტე შესაბამისობაშია თანაზომიერ მონაცემთა რეალურ სიზუსტესთან.

შენიშვნა: მონაცემთა ბაზაში არსებული მონაცემთა ერთეულის სიზუსტე შეიძლება იყოს გავრცელების სიზუსტის მსგავსი ან მასზე უფრო ზუსტი.

9. ჰაერსანაოსნო მონაცემთა ელექტრონული ერთეული დაცული უნდა იყოს 32-ბიტის ციკლური შეცდომების შემოწმების მეთოდით (CRC), რომელიც გამოიყენება მონაცემთა ერთეულების დამუშავების აპლიკაციების (პროგრამების) მიერ ამ წესის მონაცემთა მთლიანობის კლასიფიკაციის დაცვის მიზნით.

10. ჰაერსანაოსნო ინფორმაციით მომსახურების დროულობის, ხარისხის, ეფექტურობის და ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით გამოყენებული უნდა იყოს ავტომატიზებული სისტემები.

11. მონაცემთა ხარისხის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, ავტომატიზებული სისტემები:

ა) უზრუნველყოფენ მონაცემთა დამუშავების მთლიან პროცესში მონაწილე მხარეებს შორის ჰაერსანაოსნო მონაცემების ციფრულ ფორმატში გაცვლას;

ბ) იყენებენ ჰაერსანაოსნო ინფორმაციის გაცვლის და მონაცემთა გაცვლის მოდელს შექმნილი გლობალური თავსებადობის უზრუნველსაყოფად.

შენიშვნა: დამატებითი სახელმძღვანელო მასალა მონაცემთა ბაზების და მონაცემთა გაცვლის მეთოდების შესახებ მოყვანილია იკაოს ოფიციალურ გამოცემაში Doc 8126 „ჰაერსანაოსნო ინფორმაციით მომსახურების სახელმძღვანელო“.

12. იმ შემთხვევაში, თუ ჰაერსანაოსნო ინფორმაცია წარმოდგენილი არის რამდენიმე ფორმატში, უნდა იქნეს დანერგილი პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს ფორმატებს შორის მონაცემის და ინფორმაციის თანხვედრას.



13. სამსახური, სახელსაწყო ფრენის პროცედურების მქონე სამოქალაქო აეროდრომების/ვერტოდრომების ექსპლუატანტები და სააგენტო უზრუნველყოფენ ხარისხის მართვის სისტემის დანერგვას და შენარჩუნებას, რომელიც ვრცელდება ჰაერსანაოსნო ინფორმაციის და ჰაერსანაოსნო მონაცემების დამუშავების მთლიან პროცესზე (ჰაერსანაოსნო მონაცემის შექმნიდან შემდეგი მომხმარებლისთვის მიწოდებამდე) და შეიცავს, როგორც მინიმუმ ჰაერსანაოსნო ინფორმაციის შექმნისა და გავრცელების საფეხურებს.

14. ინფორმაციის მიმწოდებელმა უნდა განსაზღვროს და გადასცეს სამსახურს გეოგრაფიული კოორდინატები გრძედისა და განედის აღნიშვნით 1984 წლის მსოფლიო გეოდეზიური სისტემის (WGS-84) კოორდინატებში.

15. ინფორმაციის მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ სავსე სამუშაოების შედეგად მიღებული მონაცემები აკმაყოფილებდეს ამ წესის მე-2 დანართის მოთხოვნებს.

16. ინფორმაციის მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ აეროდრომის/ვერტოდრომის შესაბამისი წერტილების შემადგენლობასთან (ზღვის საშუალო დონის მიმართ) ერთად, დამატებით განსაზღვროს და გადასცეს სამსახურს გეოიდის ტალღა ამ წესის მე-2 დანართის მოთხოვნების მიხედვით.

მუხლი 8. NOTAM-ის შექმნა და გავრცელება

1. სამსახური წარმოადგენს საერთაშორისო NOTAM ოფისს და მისი საქმიანობა მოიცავს საქართველოს საჰაერო სივრცის და ღია ზღვის თავზე არსებულ საჰაერო სივრცეს, სადაც საჰაერო მოძრაობის მომსახურებას უზრუნველყოფს საქართველო.

2. ინფორმაციის მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს NOTAM-ის გამოქვეყნების მიზნით საჭირო ინფორმაციის სამსახურისთვის გადაცემა ყოველთვის, როდესაც:

ა) გასავრცელებელი ინფორმაცია ატარებს დროებით ხასიათს და არის მოკლევადიანი;

ბ) ოპერატიული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი მუდმივი ცვლილება ან დროებითი ხასიათის გრძელვადიანი ცვლილება, გარდა დიდი მოცულობის ტექსტური და/ან გრაფიკული მასალისა, ექვემდებარება დაუყოვნებლივ გავრცელებას.

3. სამსახურმა უნდა უზრუნველყოს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის დამუშავება და NOTAM-ის გამოცემა იმგვარად, რომ ფრენების უსაფრთხოება არ იქნეს უგულებელყოფილი.

4. იმ შემთხვევაში, თუ NOTAM-ით გასავრცელებელი ინფორმაცია ეხება საჰაერო სივრცეში ფრენებისთვის სახიფათო, აკრძალული, შეზღუდული ან საწვრთნელ სავარჯიშო არეების ამოქმედებას, ინფორმაციის მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყონ აღნიშნული ინფორმაციის მინიმუმ 10 სამუშაო დღით ადრე სააგენტოსთან შეთანხმება.

5. სააგენტო იხილავს ამ მუხლის მე-4 პუნქტში გათვალისწინებულ ინფორმაციას და უზრუნველყოფს, რომ საჰაერო სივრცეში ფრენებისთვის სახიფათო, აკრძალული, საწვრთნელ-სავარჯიშო ან შეზღუდული არეების ამოქმედების შესახებ NOTAM-ი იყოს გავრცელებული მის ამოქმედებამდე სულ ცოტა შვიდი დღით ადრე, გარდა საგანგებო/ავარიული სიტუაციებისა, რომელიც ექვემდებარება დაუყოვნებლივ გავრცელებას.

მუხლი 9. ხარჯების დაფარვა

1. ამ წესის მე-4 მუხლით განსაზღვრული მიმწოდებლები აწვდიან ჰაერსანაოსნო ინფორმაციას და ჰაერსანაოსნო მონაცემებს სამსახურს უსასყიდლოდ.

2. სამსახურის მიერ ჰაერსანაოსნო ინფორმაციის და ჰაერსანაოსნო მონაცემების შეგროვება, დამუშავებასა და მიწოდებასთან დაკავშირებული მომსახურების ხარჯები აისახება სააერონაოსნო მომსახურების საფასურში იკაოს ოფიციალური გამოცემის „სააერონაოსნო მომსახურების და



დანართი 1

ჰაერსანაოსნო ინფორმაციის მიწოდებლებსა და სააერნაოსნო მომსახურების საწარმოს შორის

ჰაერსანაოსნო ინფორმაციის და ჰაერსანაოსნო მონაცემების მიწოდების შესახებ შეთანხმების მინიმალური მოთხოვნები

ჰაერსანაოსნო ინფორმაციის მიწოდებლებსა და სააერნაოსნო მომსახურების საწარმოს შორის ჰაერსანაოსნო ინფორმაციის და ჰაერსანაოსნო მონაცემების მიწოდების შესახებ შეთანხმება შეიცავს:

- ა) წარმოსადგენი ჰაერსანაოსნო ინფორმაციის/მონაცემების ჩამონათვალს;
- ბ) მონაცემთა ხარისხის მოთხოვნებს თითოეულ მონაცემთა ერთეულის მიმართ, ამ წესის მე-2 დანართის შესაბამისად;
- გ) მეთოდს, რომელიც აჩვენებს, რომ მიწოდებული მონაცემები შეესაბამება მოთხოვნებს;
- დ) მონაცემებში შეცდომის აღმოჩენის ან ნებისმიერი უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში გასატარებელ ღონისძიებებს;
- ე) მონაცემთა ცვლილების შეტყობინების კრიტერიუმებს, როგორცაა:
 - ე.ა) ოპერატიული ან უსაფრთხოების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ცვლილების შეტყობინების დროულობის კრიტერიუმები;
 - ე.ბ) მოსალოდნელ ცვლილებაზე ნებისმიერი წინასწარი შეტყობინება;
 - ე.გ) შეტყობინების მიღების დადასტურების მეთოდი.
- ვ) მონაცემთა შეცვლის დოკუმენტირებაზე პასუხისმგებელ პირს;
- ზ) მონაცემთა მომზადების და წარდგენის დეტალებს:
 - ზ.ა) ფორმატი ან ფორმატის ცვლილების პროცესი;
 - ზ.ბ) სახელმძღვანელო დოკუმენტაცია;
- თ) მონაცემების გამოყენებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ შეზღუდვას;
- ი) მოთხოვნებს მონაცემების ხარისხის დამადასტურებელი ანგარიშის შესახებ;
- კ) მოთხოვნებს მეტამონაცემების შესახებ;
- ლ) მოთხოვნებს საგანგებო ვითარებაში მონაცემთა უწყვეტად უზრუნველყოფის შესახებ.

დანართი 2

ჰაერსანაოსნო მონაცემთა ხარისხის მოთხოვნები

ცხრილი 1- გრძედი და განედი

გრძედები და განედები	მონაცემთა სახეობა და სიზუსტე	მთლიანობის კლასიფიკაცია	გამოქვეყნების გარჩევადობა
----------------------	------------------------------	-------------------------	---------------------------



საფრენოსნო ინფორმაციის რაიონის საზღვრების წერტილები	2 კმ დადგენილი	რუტინული	1 წთ
აკრძალული, შეზღუდული და სახიფათო არეების საზღვრების წერტილები (CTA/CTR საზღვრების გარეთ)	2 კმ დადგენილი	რუტინული	1 წთ
აკრძალული, შეზღუდული და სახიფათო არეების საზღვრების წერტილები (CTA/CTR საზღვრების შიგნით)	100 მ გამოთვლილი	მნიშვნელოვანი	1 წამი
CTA/CTR საზღვრების წერტილები	100 მ გამოთვლილი	მნიშვნელოვანი	1 წამი
სამარშრუტო, სანავიგაციო საშუალებები, გადაკვეთის და მარშრუტის წერტილები, მოსაცდელი ზონის, სახელსაწყო მოფრენის და გაფრენის სტანდარტული მარშრუტის წერტილები	100 მ გადაღებული/გამოთვლილი	მნიშვნელოვანი	1 წამი
დაბრკოლებები პირველ არეში (ქვეყნის მთელი ტერიტორია)	50 მ გადაღებული	რუტინული	1 წამი
დაბრკოლებები მეორე არეში	5 მ გადაღებული	მნიშვნელოვანი	1/10 წამი
დაბრკოლებები მესამე არეში	0,5 მ გადაღებული	მნიშვნელოვანი	1/10 წამი
დაფრენაზე შესვლის საბოლოო ეტაპის საკონტროლო წერტილები/პუნქტები და სხვა მნიშვნელოვანი წერტილები/პუნქტები, რომლებიც ქმნიან დაფრენაზე სახელსაწყო შესვლის სქემას	3 მ გადაღებული/გამოთვლილი	მნიშვნელოვანი	1/10 წამი
ადზ-ს ზღურბლი	1 მ	კრიტიკული	1/100 წამი



	გადაღებული		
ადზ-ს ბოლო (ფრენის ტრაექტორიის გასწორების წერტილი)	1 მ გადაღებული	კრიტიკული	1/100 წამი
ადზ-სთან მოსაცდელი ადგილი	0,5 მ გადაღებული	კრიტიკული	1/100 წამი
სამიმოსვლო ბილიკის ღერძულა ხაზის/სადგომზე შესვლის მიმართულების ხაზის წერტილები	0,5 მ გადაღებული	მნიშვნელოვანი	1/100 წამი
შუალედური მოსაცდელი ადგილის მარკირება	0,5 მ გადაღებული	მნიშვნელოვანი	1/100 წამი
გასასვლელის მიმართულების ხაზი სხ-ისთვის	0,5 მ გადაღებული	მნიშვნელოვანი	1/100 წამი
სხ/შვეულმფრენის სადგომის წერტილები/ინერციული სანავიგაციო სისტემის შემოწმების წერტილები	0,5 მ გადაღებული	რუტინული	1/100 წამი
TLOF-ის გეომეტრიული ცენტრი ან FATO-ს ზღურბლები	1 მ გადაღებული	კრიტიკული	1/100 წამი
აეროდრომის/ვერტოდრომის ბაქნის საზღვრები (პოლიგონი)	1 მ გადაღებული	რუტინული	1/10 წამი
აეროდრომის/ვერტოდრომის შემოყინვის საწინააღმდეგო დამუშავების ადგილი (პოლიგონი)	1 მ გადაღებული	რუტინული	1/10 წამი
აეროდრომის/ვერტოდრომის საკონტროლო წერტილი	30 მ გადაღებული/გამოთვლილი	რუტინული	1 წამი
აეროდრომზე/ვერტოდრომზე	3 მ		



განლაგებული საშუალებები	სანავიგაციო	გადაღებული	მნიშვნელოვანი	1/10 წამი
ადრ-ს ღერძის ხაზის წერტილები		1 მ გადაღებული	კრიტიკული	1/100 წამი
ხმელეთზე, მიმართულების შვეულმფრენისთვის	გასასვლელის ხაზი	0,5 მ გადაღებული	მნიშვნელოვანი	1/100 წამი
შვეულმფრენებისათვის სამიმოსვლო ბილიკის ღერძის ხაზის წერტილები და საჰაერო სამიმოსვლო ბილიკის წერტილები	სახმელეთო	0,5 მ გადაღებული/გამოთვლილი	მნიშვნელოვანი	
შვეულმფრენებისათვის სამიმოსვლო ბილიკის მარკირება	სახმელეთო გადაკვეთის	0,5 მ გადაღებული	მნიშვნელოვანი	1/100 წამი

შენიშვნა: დაბრკოლების მონაცემის შეგროვების ზედაპირის გრაფიკული გამოსახულება და დაბრკოლების გამოვლენის კრიტერიუმები მოცემულია ამ წესის მე-3 დანართში.

ცხრილი 2 - შემალღებ/ფარდობითი და აბსოლუტური სიმაღლე

შემალღებ/ფარდობითი აბსოლუტური სიმაღლე	დამონაცემთა სიზუსტე	სახეობა და	მთლიანობის კლასიფიკაცია	გამოქვეყნების გარჩევადობა
აეროდრომის/ვერტოდრომის შემალღება	0,5 მ გადაღებული		მნიშვნელოვანი	1 მ ან 1 ფტ
ადრ-ს ღერძის ხაზის წერტილები	0,25 მ გადაღებული		კრიტიკული	
შვეულმფრენებისათვის სამიმოსვლო ბილიკის ღერძის ხაზის წერტილები და საჰაერო სამიმოსვლო ბილიკის წერტილები	1 მ გადაღებული		მნიშვნელოვანი	
სამიმოსვლო ბილიკის ღერძის ხაზის/სადგომზე შესვლისას მიმართულების წერტილები	1 მ გადაღებული		მნიშვნელოვანი	



გეოიდის აეროდრომის/ვერტოდრომის შემადლების ადგილზე მგს-84-ში.	ტალღა 0,5 მ გადაღებული	მნიშვნელოვანი	1 მ ან 1 ფტ
იმ ვერტოდრომების FATO-ს ზღურბლი, სადაც გამოიყენება ან არ გამოიყენება დასაფრენად შესვლის წერტილი სივრცეში	0,5 მ გადაღებული	მნიშვნელოვანი	1 მ ან 1 ფტ
FATO-ს ზღურბლზე, TLOF-ის გეომეტრიულ ცენტრზე გეოიდის ტალღა მგს-84-ში იმ ვერტოდრომებისთვის, სადაც გამოიყენება ან არ გამოიყენება დასაფრენად შესვლის წერტილი	0,5 მ გადაღებული	მნიშვნელოვანი	1 მ ან 1 ფტ
ადზ-ს ან FATO-ს ზღურბლზე, TLOF-ის გეომეტრიულ ცენტრზე გეოიდის ტალღა მგს-84-ში, დასაფრენად არაზუსტი შესვლისას	0,5 მ გადაღებული	მნიშვნელოვანი	1 მ ან 1 ფტ
ადზ-ს ან FATO-ს ზღურბლზე, TLOF-ის გეომეტრიულ ცენტრზე გეოიდის ტალღა მგს-84-ში, დასაფრენად ზუსტი შესვლისას	0,25 გადაღებული	კრიტიკული	0,1 მ ან 0,1 ფტ
ადზ-ს ან FATO-ს ზღურბლი დასაფრენად ზუსტი შესვლისას	0,25 მ გადაღებული	კრიტიკული	0,1 მ ან 0,1 ფტ
ადზ-ს ან FATO-ს ზღურბლი დასაფრენად არაზუსტი შესვლისას	0,5 მ გადაღებული	მნიშვნელოვანი	1 მ ან 1 ფტ
დასაფრენად ზუსტი შესვლისთვის ადზ- ს ზღურბლის გეოიდის ტალღა მგს-84-ში	0,25 მ გადაღებული	კრიტიკული	0,1 მ ან 0,1 ფტ
დაბრკოლებები მეორე არეში	3 მ გადაღებული	მნიშვნელოვანი	1 მ ან 1 ფტ
დაბრკოლებები მესამე არეში	0,5 მ გადაღებული	მნიშვნელოვანი	0,1 მ ან 0,1 ფტ
ზუსტი მანძილსაზომი მოწყობილობა	3 მ გადაღებული	მნიშვნელოვანი	3 მ ან 10 ფტ



მანძილშომი შემაღლება	მოწყობილობის გადაღებული	30 მ ან 100ფტ	მნიშვნელოვანი	30 მ ან 100ფტ
მინიმალური აბსოლუტური სიმაღლე	გამოთვლილი	50 მ	რუტინული	50 მ ან 100ფტ
დაბრკოლებების აბსოლუტური/ფარდობითი სიმაღლე	გადაფრენის PANS-OPS (Doc 8168)	როგორც განსაზღვრულია	მნიშვნელოვანი	
დასაფრენად სახელსაწყო სქემის აბსოლუტური სიმაღლე	შესვლის PANS-OPS (Doc 8168)	როგორც განსაზღვრულია	მნიშვნელოვანი	
დაბრკოლებების შემაღლება პირველი არეში (ქვეყნის მთელი ტერიტორია)	გადაღებული	30 მ	რუტინული	1მ ან 1ფტ
ადზ-ს ზღურბლის ფარდობითი სიმაღლე (საკონტროლო წერტილის ფარდობითი სიმაღლე) დასაფრენად ზუსტი შესვლისას	გამოთვლილი	0,5 მ	კრიტიკული	0,1მ ან 0,1ფტ

შენიშვნა: დაბრკოლების მონაცემის შეგროვების ზედაპირის გრაფიკული გამოსახულება და დაბრკოლების გამოვლენის კრიტერიუმები მოცემულია ამ წესის მე-3 დანართში.

ცხრილი 3 - გადახრა და მაგნიტური გადახრა

გადახრა და მაგნიტური გადახრა	მონაცემთა სახეობა და სიზუსტე	მთლიანობის კლასიფიკაცია	გამოქვეყნების გარჩევადობა
მეტად მაღალი სიხშირის სადგურის გადახრა, რომელიც გამოიყენება საშუალების ტექნიკური გამართვისათვის	1 გრადუსი გადაღებული	მნიშვნელოვანი	1 გრადუსი
მიუმართავი რადიოშუქურის მაგნიტური გადახრა	1 გრადუსი გადაღებული	რუტინული	1 გრადუსი
აეროდომის/ვერტოდომის გადახრა	1 გრადუსი გადაღებული	მნიშვნელოვანი	1 გრადუსი



სახელსაწყო დაფრენის სისტემის საკურსო ანტენის მაგნიტური გადახრა	1 გრადუსი გადაღებული	მნიშვნელოვანი	1 გრადუსი
--	----------------------	---------------	-----------

ცხრილი 4 – პელენგი

პელენგი	მონაცემთა სიზუსტე	სახეობა	და მთლიანობის კლასიფიკაცია	გამოქვეყნების გარჩევადობა
საჰაერო ტრასის სეგმენტები	1/10 გამოთვლილი	გრადუსი	რუტინული	1 გრადუსი
პელენგი, რომელიც გამოიყენება მარშრუტზე და აეროდრომის რაიონში საკონტროლო წერტილების შექმნისთვის/ფორმირებისათვის	1/10 გამოთვლილი	გრადუსი	რუტინული	1/10 გრადუსი
აეროდრომის რაიონში მოფრენა/გაფრენის მარშრუტის სეგმენტები	1/10 გამოთვლილი	გრადუსი	რუტინული	1 გრადუსი
პელენგი, რომელიც გამოიყენება დასაფრენად სახელსაწყო შესვლის სქემის/პროცედურის საკონტროლო წერტილების შექმნისთვის/ფორმირებისათვის	1/100 გამოთვლილი	გრადუსი	მნიშვნელოვანი	1/100 გრადუსი
სახელსაწყო დაფრენის სისტემის საკურსო რადიომუქურის დაყენების კუთხე (გეოგრაფიული)	1/100 გადაღებული	გრადუსი	მნიშვნელოვანი	1/100 გრადუსი
ადზ-ს და FATO-ს პელენგი (გეოგრაფიული)	1/100 გადაღებული	გრადუსი	რუტინული	1/100 გრადუსი

ცხრილი 5 – სიგრძე/მანძილი/ზომები

სიგრძე/მანძილი/ზომები	მონაცემთა სიზუსტე	სახეობა	და მთლიანობის კლასიფიკაცია	გამოქვეყნების გარჩევადობა
საჰაერო ტრასის სეგმენტების სიგრძე	1/10 კმ გამოთვლილი		რუტინული	1/10 კმ ან 1/10 საზღვაო მილი
მარშრუტის წერტილების შექმნისთვის	1/10 კმ გამოთვლილი		რუტინული	1/10 კმ ან 1/10




გამოყენებული მანძილი			საზღვაო მილი
აეროდრომის რაიონში მოფრენა/გაფრენის სეგმენტ(ებ)ის სიგრძე	მარშრუტის 1/100 კმ გამოთვლილი	მნიშვნელოვანი	1/100 კმ ან 1/100 საზღვაო მილი
აეროდრომის რაიონში და დასაფრენად სახელსაწყო შესვლის პროცედურების წერტილების შექმნისთვის/ფორმირებისათვის გამოყენებული მანძილი	1/100 კმ გამოთვლილი	მნიშვნელოვანი	1/100 კმ ან 1/100 საზღვაო მილი
ადზ-ს და FATO-ს სიგრძე, TLOF ზომები	1 მ გადაღებული	კრიტიკული	1 მ ან 1 ფტ
ადზ-ს სიგანე	1 მ გადაღებული	მნიშვნელოვანი	1 მ ან 1 ფტ
დაბრკოლებებისგან ზოლის სიგრძე და სიგანე	1 მ გადაღებული	მნიშვნელოვანი	1 მ ან 1 ფტ
მანძილი ზღურბლამდე	გადაადგილებულ 1 მ გადაღებული	რუტინული	1 მ ან 1 ფტ
დამუხრუჭების ბოლო ზოლის სიგრძე და სიგანე	1 მ გადაღებული	კრიტიკული	1 მ ან 1 ფტ
დასაფრენად არსებული მანძილი	1 მ გადაღებული	კრიტიკული	1 მ ან 1 ფტ
გასაქანად არსებული მანძილი	1 მ გადაღებული	კრიტიკული	1 მ ან 1 ფტ
ასაფრენად არსებული მანძილი	1 მ გადაღებული	კრიტიკული	1 მ ან 1 ფტ
შეწყვეტილი აფრენისთვის არსებული მანძილი	1 მ გადაღებული	კრიტიკული	1 მ ან 1 ფტ
ადზ-ს გვერდითა უსაფრთხოების ზოლის სიგანე	1 მ გადაღებული	მნიშვნელოვანი	1 მ ან 1 ფტ
სამიმოსვლო ბილიკის სიგანე			



შვეულმფრენის სახმელეთო და საჰაერო სამიმოსვლო ბილიკის/სამიმოსვლო მარშრუტების სიგანე	1 მ გადაღებული	მნიშვნელოვანი	1 მ ან 1 ფტ
სამიმოსვლო ბილიკის გვერდითა უსაფრთხოების ზოლის სიგანე	1 მ გადაღებული	მნიშვნელოვანი	1 მ ან 1 ფტ
მანძილი ILS-ის საკურსო ანტენასა და ადზ-ს/FATO-ს ბოლოს შორის	3 მ გამოთვლილი	რუტინული	1 მ ან 1 ფტ
ღერძულა ხაზის გასწვრივ ILS-ის გლისადის რადიომუქურასა და ზღურბლს შორის მანძილი	3 მ გამოთვლილი	რუტინული	1 მ ან 1 ფტ
მანძილის ILS-ის მარკერსა და ზღურბლს შორის	3 მ გამოთვლილი	მნიშვნელოვანი	1 მ ან 1 ფტ
ღერძულა ხაზის გასწვრივ ILS-ის DME-ის ანტენასა და ზღურბლს შორის მანძილი	3 მ გამოთვლილი	მნიშვნელოვანი	1 მ ან 1 ფტ

დანართი 3

რელიეფისა და დაბრკოლების მონაცემთა მოთხოვნები



ნახატი 1. რელიეფის მონაცემთა აღრიცხვის ზედაპირი

1. ARP-დან 10 კმ-ის რადიუსის ფარგლებში რელიეფის მონაცემები უნდა შეესაბამებოდეს არე 2-ის რიცხობრივ მოთხოვნებს.
2. ARP-დან 10 კმ-ის რადიუს და TMA საზღვრის ან 45 კმ რადიუსს (რომელიც უფრო ნაკლებია) შორის მოქცეულ არეში, რელიეფის მონაცემები, რომელიც კვეთს ადზ-ს ყველაზე დაბალი შემადგენელიდან 120 მეტრს ზემოთ ჰორიზონტალურ სიბრტყეს უნდა შეესაბამებოდეს არე 2-ის რიცხობრივ მოთხოვნებს.
3. ARP-დან 10 კმ-ის რადიუს და TMA საზღვრის ან 45 კმ რადიუსს (რომელიც უფრო ნაკლებია) შორის მოქცეულ არეში, რელიეფის მონაცემები, რომელიც არ კვეთს ადზ-ს ყველაზე დაბალი შემადგენელიდან 120 მეტრს ზემოთ ჰორიზონტალურ სიბრტყეს უნდა შეესაბამებოდეს არე 1-ის რიცხობრივ მოთხოვნებს.
4. არე 2-ის იმ ნაწილებში, სადაც ფრენები აკრძალულია ძალიან მაღალი რელიეფის ან ადგილობრივი შეზღუდვების გამო, რელიეფის მონაცემები უნდა შეესაბამებოდეს არე 1-ის რიცხობრივ მოთხოვნებს.


შენიშვნა: რელიეფის მონაცემთა რიცხობრივი მონაცემები განსაზღვრულია ამ დანართის პირველ ცხრილში.

ცხრილი 1. რელიეფის მონაცემთა რიცხობრივი მონაცემები

	არე 1	არე 2	არე 3	არე 4
მანძილი ბიჯებს შორის	რკალის 3 წამი (დაახლ. 90მ)	რკალის 1 წამი (დაახლ. 30მ)	რკალის 0,6 წამი (დაახლ. 20მ)	რკალის 0,3 წამი (დაახლ. 9მ)
სიზუსტე ვერტიკალურ სიბრტყეში	30 მ	3 მ	0,5 მ	1 მ
გარჩევადობა ვერტიკალურ სიბრტყეში	1 მ	0,1 მ	0,1 მ	0,1 მ
სიზუსტე ჰორიზონტალურ სიბრტყეში	50 მ	5 მ	0,5 მ	2,5 მ
სანდობის დონე	90%	90%	90%	90%
მთლიანობის კლასიფიკაცია	ჩვეულებრივი	მნიშვნელოვანი	მნიშვნელოვანი	მნიშვნელოვანი



განახლების ინტერვალი	საჭიროებისამებრ არანაკლებ წელიწადში ერთხელ	ან 5	საჭიროებისამებრ არანაკლებ წელიწადში ერთხელ	ან 5	საჭიროებისამებრ არანაკლებ წელიწადში ერთხელ	ან 5	საჭიროებისამებრ არანაკლებ წელიწადში ერთხელ	ან 5
----------------------	--	------	--	------	--	------	--	------



ნახატი 2. დაბრკოლებების მონაცემების აღრიცხვის ზედაპირი - არე 1 და არე 2

1. მონაცემები დაბრკოლებების შესახებ უნდა იყოს შეგროვილი და აღრიცხული არე 2-ის რიცხოვრივი მოთხოვნების შესაბამისად, როგორც ეს მოცემულია მეორე ცხრილში.

ა) არე 2ა – მართკუთხედის ფორმის არე ადზ-ს გარშემო, რომელიც მოიცავს ადზ-ს საფრენ ზოლს და ნებისმიერ არსებულ დაბრკოლებებისგან თავისუფალ არეს. არე 2ა დაბრკოლების აღრიცხვის ზედაპირი მდებარეობს სამი მეტრის სიმაღლეზე;

ა.ა) უახლოესი ადზ-ს ღერძულა ხაზის გასწვრივ გაზომილი ადზ-ს შემადგენლებიდან,

ა.ბ) ადზ-ს დაბრკოლებებისგან თავისუფალ არეში, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ადზ-ს უახლოესი კიდის შემადგენლებიდან;

ბ) არე 2ბ – არე, რომელიც იწყება არე 2ა-ს დასასრულიდან აფრენის მიმართულებით, 10 კილომეტრის სიგრძით და იშლება ორივე მხარეს 15 %-ით. არე 2ბ-ს დაბრკოლების შეგროვების ზედაპირი იწყება 2ა-ს დასასრულიდან ადზ-ს კიდის შემადგენლებიდან, მას აქვს 1.2 %-იანი დახრა, მოქცეულია აფრენის მიმართულებით 10 კილომეტრის სიგრძის ფარგლებში და იშლება ორივე მხარეს 15 %-ით. ამ ზედაპირის ფარგლებში 3 მეტრზე ნაკლები სიმაღლის მქონე დაბრკოლებები არ გაითვალისწინება;

გ) არე 2გ - არე, რომელიც იშლება არე 2ა და არე 2ბ-ს საზღვრებიდან, მანძილზე, რომელიც არ



აღმატება 10 კილომეტრს არე 2ა-ს საზღვრიდან. არე 2გ-ს დაბრკოლების შეგროვების ზედაპირს აქვს 1.2 %-იანი დახრა, იშლება არე 2ა-ს და არე 2ბ-ს საზღვრებიდან, მანძილზე, რომელიც არ აღმატება 10 კილომეტრს არე 2ა-ს საზღვრიდან.

არე 2გ-ს საწყისი შემადგენელი ემთხვევა არე 2ა-ს შემადგენელს. ამ ზედაპირის ფარგლებში, მიწის ზედაპირიდან 15 მეტრზე ნაკლები სიმაღლის მქონე დაბრკოლებები არ გაითვალისწინება;

დ) არე 2დ - არე, რომელიც მდებარეობს არე 2ა, ბ, გ-ს გარეთ, აეროდრომის საკონტროლო წერტილიდან 45 კილომეტრის მანძილზე, ან TMA-ს არსებულ საზღვრებამდე, რომელიც უფრო ახლოს არის. არე 2დ დაბრკოლების აღრიცხვის ზედაპირი მდებარეობს 100 მეტრის სიმაღლეზე მიწის ზედაპირიდან.


2. არე 2-ის იმ ნაწილებში, სადაც ფრენები აკრძალულია ძალიან მაღალი რელიეფის ან ადგილობრივი შეზღუდვების გამო, რელიეფის მონაცემები უნდა შეგროვდეს და აღირიცხოს არე 1-ის მოთხოვნების შესაბამისად.

3. მონაცემები არე 1-ის ყველა დაბრკოლებაზე, რომელთა სიმაღლე მიწის ზედაპირიდან 100 მეტრი ან მეტია, უნდა იყოს შეგროვებული და აღრიცხული მონაცემთა ბაზაში არე 1-ის რიცხოვრივი მოთხოვნების შესაბამისად, როგორც ეს განსაზღვრულია ამ დანართის მე-2 ცხრილში.

ცხრილი 2 - დაბრკოლებათა მონაცემების რიცხოვრივი მოთხოვნები

	არე 1	არე 2	არე 3	არე 4
ვერტიკალური სიზუსტე	30 მ	3 მ	0,5 მ	1 მ
ვერტიკალური დარღვევა	1 მ	0,1 მ	0,1 მ	0,1 მ
ჰორიზონტალური სიზუსტე	50 მ	5 მ	0,5 მ	2,5 მ
ნდობის დონე	90%	90%	90%	90%
მთლიანობის კლასიფიკაცია	ჩვეულებრივი	მნიშვნელოვანი	მნიშვნელოვანი	მნიშვნელოვანი
განახლების ინტერვალი	საჭიროებისამებრ ან არანაკლებ 5 წელიწადში ერთხელ	საჭიროებისამებრ ან არანაკლებ 5 წელიწადში ერთხელ	საჭიროებისამებრ ან არანაკლებ 5 წელიწადში ერთხელ	საჭიროებისამებრ ან არანაკლებ 5 წელიწადში ერთხელ





ნახატი 3. რელიეფის და დაბრკოლების მონაცემების შეგროვების ზედაპირი - არე 3

1. რელიეფის და დაბრკოლების მონაცემების შეგროვების ზედაპირი მდებარეობს აეროდრომის სამანევრო ფართის უახლოესი წერტილიდან ჰორიზონტალურ სიბრტყეში 0,5 მეტრის სიმაღლეზე.
2. არე 3-ის რელიეფის და დაბრკოლების მონაცემები უნდა შეესაბამებოდეს მე-2 და მე-3 ცხრილებში განსზღვრულ რიცხობრივ მოთხოვნებს.

